PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
„მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ქეთევან ბოტკოველი
წევრი:
ვალერი ჯაჯანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - კოლეჯი - "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 28 ივლისის N640376 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“** დამატების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით ვიზიტი განხორციელდა ქ. თბილისში, სსიპ - კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში" 2020 წლის 12 აგვისტოს.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და არსებული გარემოებების გათვალისწინებით შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ექსპერტები ადგილზე გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მოდულების განმახორციელებელ პირებს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვიზიტისას მიმდინარეობდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და დაწესებულებისთვის წარდგენა. ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1.1 <u>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია ორპორტიანი ამწის არსებობა კოლეჯის საკუთრებაში ან პარტნიორი ორგანიზაციის ბალანსზე, ავტოსერვის ცენტრებთან გაფორმებული მემორანდუმების არსებობის მიუხედავად, კოლეჯს არ აქვს გატანილი პრაქტიკის ობიექტზე სრულად სწავლის შედეგები.</u> კოლეჯის საკუთრებაშია გერმანული ფირმის ,,lucas nuelle" სიმულაციური სასწავლო აღჭურვილობა, რომელიც ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების მუშაობის იმიტაციის და გაუმართაობების ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობას იძლევა, შედეგად კონცენტრაციის მოდულების შედეგების 80 % - ის განხორციელება ამ ეტაპზე საკუთარი რესურსებითაა შესაძლებელი, ხოლო დარჩენილი შედეგებისათვის აუცილებელია ორპორტიანი ამწე. სასწავლო გეგმის მიხედვით კონცენტრაციის მოდულების დაწყების სავარაუდო დროა 8 კვირა, სწორედ ამ დროისათვის უნდა ჰქონდეს შეძენილი კოლეჯს მოცემული ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ტერიტორიაზე აქტიურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიმდინარეობს სასწავლო სახელოსნოს მშენებლობა, რაც განპირობებულია ტენდერის NAT200008084 საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან ამხანაგობა ,,მოდერნ ბილდინგ გრუპს“ და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ შორის 2020 წლის 15 ივლისს გაფორმებული №320702/02/03/90 ხელშეკრულებით, რომელიც მოქმედია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადაა 75 კალენდარული დღე. კონკრეტული მატერიალური რესურსის შესაძენად ატვირთული ინვოისების და თანხის მოთხოვნის საფუძველზე, 2020 წლის 21 ივლისს მიღწეულია შეთანხმება №01/162-71-7, რაც გულისხმობს სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ და სსიპ ,,კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ შორის 2015 წლის 14 აგვისტოს გაფორმებულ №01/162-71 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ სსიპ ,,კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ მიეცა უფლება №01/162-71 ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების 100349,45 ლარი ფარგლებში მიღებული ეკონომიიდან 62340 ლარი მიმართოს მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის შესაძენად. აღჭურვილობისა და სხვა მატერიალური რესურსის შეძენის ვადები განსაზღვრულია სსიპ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში 2020 წლის 03 ივლისს გამართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესაბამისობასთან დადგენის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №4 - ის დანართი №1 - ის საფუძველზე და შეადგენს 6 თვეს, კერძოდ ვადებში ივლისიდან - დეკემბრის ჩათვლით.

<u>ვიზიტის პერიოდში კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია საჭიროების მიხედვით გარკვეული რეზერვის შესაქმნელად დამატებით მოიძიოს პრაქტიკის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციები.</u>

განვითარების რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.1.1.3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით, ცვლილება: N25, 18.02.2020 წ., გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული მეთოდოლოგია გარკვეულწილად საერთოა ყველა პროგრამისთვის, სასურველია დაკონკრეტებული იყოს, თუ კონკრეტული პროგრამის განსახორციელებლად რა რესურსს ხარჯავს/დახარჯავს კოლეჯი, თითოეული პროგრამისათვის.

2.1.1.4. რამდენადაც, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მოდულების მიხედვით, ვერ მოხერხდება საერთო სწავლის შედეგებში არსებული ორი შედეგის ,,შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები და დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები“ მიღწევა, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ან დაუმატოს საგანმანათლებლო პროგრამას შესაბამისი მოდულები, ან ამოიღოს აღნიშნული სწავლის შედეგები, დაწესებულებამ განმარტა, რომ მათ იხელმძღვანელეს ჩარჩო დოკუმენტში არსებული საერთო სწავლის შედეგების მიხედვით, რაც რეალურად აღმოჩნდა შეცდომაში შემყვანი დაწესებულებისთვის. პსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და მოახდინა პროგრამების მოდიფიცირება (დირექტორის 2020 წლის 12 აგვისტოს №121 ბრძანება).

2.2.1.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელთანაც ხელშეკრულება დადებულია 1 წლის ვადით როტაციის პრინციპის გათვალისწინებით. ექსპერტთა მოსაზრებით, მსგავსი მიდგომა პროგრამის განხორციელების მდგრადობის გათვალისწინებით არაა რელევანტური, ექსპერტების მიერ კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელის ვადა განისაზღვროს მინიმუმ პროგრამის ავტორიზაციის ვადით ან უვადოდ, შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3.1.2. რამდენადაც დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული პროგრამაში ან ცალკეულ მოდულში ცვლილებებთან დაკავშირებული ინიცირების შემთხვევაში რა პროცედურას გადის, ვინ განიხილავს ცვლილებების აუცილებლობას, ვინ აანალიზებს ცვლილების მიზანშეწონილობას, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროცედურის აღწერასთან დაკავშირებით. კოლეჯმა რეკომენდაცია ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა და შექმნა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ინიცირების პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 ივლისის №89, ცვლილება 2020 წლის 3 აგვისტოს №116, N121, 12.08.2020 წ. ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N 44

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40, ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44, მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მისიით განსაზღვრულია თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის, ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით. ამ მისიის შესასრულებლად კოლეჯმა მთავარ მიზნად დაისახა პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამების მორგება თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების გათვალისწინება. სასწავლო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სოციალური პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბება და გააქტიურება, დაინტერესებული პირების, სახელმწიფო და კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების კოლეჯის მართვის და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის მიზნით.

კოლეჯის მიერ წრმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის, ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განხორციელების შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება ეფუძნება კოლეჯის მისიას და როგორც დაწესებულების მიერ შემუშავებულ შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმას, ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმასაც. გეგმებით განსაზღვრულია შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების დანერგვა/პილოტირება. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად კოლეჯმა წარმოადგინა ვრცელი ანგარიში, რომელიც მოიცავს ყველა იმ აქტივობის აღწერას, რომელიც დაწესებულებამ ამ მიმართულებით ჩაატარა. ეს გახლავთ სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი სატრანსპორტო მიმართულებით, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, სამიზნე ჯგუფებთან - სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებული შეხვედრები ინფორმირების მიზნით და ა.შ. ერთერთი არგუმენტი, იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ გადაწყვიტა კოლეჯმა ამ პროგრამის განხორციელება არის ის, რომ ის 2012-2018 წლებში ტრანსპორტის დარგში 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა (სავალი ნაწილის შეკეთება, ძრავის შეკეთება, ავტომობილის დიაგნოსტიკა და ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი). პროგრამებიდან გამომდინარე, კოლეჯის მიერ წლების განმავლობაში გაფორმებული იყო 150-მდე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ამ სფეროებში ჩართულ კომპანიებთან, რაც საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დიდ გამოცდილებაზე მიუთითებს. პარტნიორ კომპანიებს შორის არიან: „მათემოტორსი“, „თეგეტა მოტორსი“, „ვოლვოს ცენტრი“, „ლიდერ ავტო ცენტრი“, „იბერია ავტოჰაუსი“, „ოტო მოტორს ჰოლდინგი“, „რენო ცენტრი“, ავტოსერვისი „დიდი დიღომი", „ფრანს ავტო“, „გრინვეი“, „ნიკ-მოტორსი“, „ავტომოტივი“, „აუტოჰაუსი“, „ჯი-თი მოტორსი“, „ავტომაბი“, „მიქს დრიავი“, „ავტოაგრეგატი“, „ავტოსერვისცენტრი+“, „ჰიუნდაი ავტო საქართველო“, „აგრო მოტორსი“, „დიზელ მოტორსი“, „პრემიუმ ავტო“, „ვესტ მოტორსი“ და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ფარგლებში კოლეჯის მიერ პერიოდულობით ქვეყნდება ინფორმაციები სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

ანგარიშში წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი წლების მიხედვით, საიდანც ჩანს, რომ ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის პოზიციაზე 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით 90 კურსდამთავრებულიდან 78, ხოლო ავტომობილის დიაგნოსტიკაზე 134 კურსდამთავრებულიდან 110 დასაქმდა.

აღსანიშნავია, რომ „ავტომობილის დიაგნოსტიკოსის“ საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული თავად გახდა დამსაქმებელი, მან გაიმარჯვა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სოფლის განვითარების პროექტის საგრანტო კონკურსში და მოიპოვა დაფინანსება მოძრავი დიაგნოსტიკის შექმნაზე, რომლის მეშვეობით იგი ახორციელებდა აღნიშნული სერვისის მიწოდებას რაიონის მასშტაბით.

2018 წლიდან, მას შემდეგ, რაც საგნობრივი სწავლება შეიცვალა მოდულური მიდგომით, აღნიშნული პროგრამები კოლეჯში არ განხორციელებულა, თუმცა კოლეჯი ახორციელებდა მოკლევადიან სასერტიფიკაცო კურსებს ამ პროგრამის მიმართულებით.

- ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტის „პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი გზა“ ფარგლებში, 2019 წელს წარმატებით დაასრულა 24 მსმენელმა, 2020 წელს გამოცხადებულ „მსუბუქი ავტომობილის დიაგნოსტირებისა“ და „ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსის“ მიმდინარე პროგრამებზე დარეგისტრირებულია 31 აპლიკანტი.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეების სწავლების ხელშეწყობის, პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2018 წელს განხორციელდა „ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსის“ მოკლევადიანი კურსი, რომელიც წარმატებით დაასრულა 21 მსმენელმა, იგივე კურსი ჩატარდა 2019 წელს, რომლის შედეგადაც სერტიფიკატი გადაეცა 13 სამხედრო მოსამსახურეს.
- კერძო სექტორის, კონკრეტულად კი შპს „მათემოტორსის“ დაკვეთით, 2017 წელს, თბილისსა და ბათუმში განხორციელდა „ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის“ მოკლევადიანი კურსი, რომელიც წარმატებით დაასრულა 11 მსმენელმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

(თბილისი - 8, ბათუმი - 3). • 2014 წელს განხორციელდა „ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსის“ ფასიანი მოკლევადიანი კურსი, რომელიც წარმატებით დაასრულა 13 მსმენელმა.

დამსაქმებელთა დიდმა ნაწილმა, მათ შორის ტექინსპექტირების ცენტრმა „გრინვეი“, რომელმაც სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ არაერთი კურსდამთავრებული დაასაქმა, მიმართა თხოვნით დაწესებულებას პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების ვიზიტის დროს პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებმა, რომლებიც პოტენციური დამსაქმებლებიც არიან, გამოთქვს კმაყოფილება მათთან დასაქმებული კოლეჯის კურსდამთავრებულთა მიმართ და აღნიშნეს ამ პროფესიაში კადრების ნაკლებობა.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.1.1.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამაზე **„მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“** დაშვების წინაპირობა (საბაზო განათლება), სრულ შესაბამისობაში მოდის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან.

2.1.1.3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით, ცვლილება: N25, 18.02.2020 წ., გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული მეთოდოლოგია გარკვეულწილად საერთოა ყველა პროგრამისთვის, სასურველია დაკონკრეტებული იყოს, თუ კონკრეტული პროგრამის განსახორციელებლად რა რესურსს ხარჯავს/დახარჯავს კოლეჯი. თითოეული პროგრამისათვის დაწესებულებას მოცემული აქვს კონტიგენტის დაგეგმვის/განსაზღვრის მოდელი, რომელიც ხელმოწერილია დირექტორის მიერ და დამოწმებულია კოლეჯის ბეჭდით.

2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

რამდენადაც, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მოდულების მიხედვით, ვერ მოხერხდება საერთო სწავლის შედეგებში არსებული ორი შედეგის ,,შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები და დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები“ მიღწევა, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ან დაუმატოს საგანმანათლებლო პროგრამას შესაბამისი მოდულები, ან ამოიღოს აღნიშნული სწავლის შედეგები, დაწესებულებამ განმარტა, რომ მათ იხელმძღვანელეს ჩარჩო დოკუმენტში არსებული საერთო სწავლის შედეგების მიხედვით, რაც რეალურად აღმოჩნდა შეცდომაში შემყვანი დაწესებულებისთვის. პსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და მოახდინა პროგრამების მოდიფიცირება (დირექტორის 2020 წლის 12 აგვისტოს №121 ბრძანება). საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის დაახლოებით 80% პროგრამის განაცხადის მიხედვით, არის კოლეჯის საკუთრებაში. ხოლო დარჩენილი მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომია პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. დამატებით კოლეჯი აპირებს შეისყიდოს შესაბამისი მატერიალური რესურსი, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ და სსიპ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ შორის გაფორმებული შეთანხმება 2020 წლის 21 ივლისს №01/162-71-7, იმ მიზნით, რომ სასწავლო პროცესი მომავალში სრულად გადმოიტანოს კოლეჯის ბაზაზე. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, პროგრამა სრულადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი თემატიკის თანამედროვე ლიტერატურით.

2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს;

2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ, რასაც ადასტურებს პროგრამის დამტკიცების აქტი/ბრძანება N89; 03.07.2020 წ., ცვლილება N116; 03.08.2020, N121, 12.08.2020 წ.

2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, იგი თანხვედრაში მოდის პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და მისაღწევ სწავლის შედეგებთან, პროგრამის დასახელება არაა შეცდომაში შემყვანი;

2.1.1.8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის **ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი 07119-3** საფუძველზე და მისი ერთ-ერთი კონცენტრაციაა. დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში იგულისხმება პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამატების მიზნით შექმნილი მიზანშეწონილობის შესახებ კომისიის სხდომის ოქმით №9;
- სტრატეგიული განვითარების გეგმით (დამტკიცებულია დირექტორის 11.05.2018 წლის N43 ბრძანებით, ცვლილება: 29.06.20, N85);
- 2019-2020 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით (დამტკიცებულია დირექტორის 08.08.2019 წლის N65 ბრძანებით, ცვლილება: 29.06.20, N86);
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით);
- „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, რეკვიზიტები: 03.07.20, N89, ცვლილება: 03.08.2020 წ., N116);
- დაწესებულების ხელმძღვანელებთა, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთრებაში არსებული და პარტნიორი ორგანიზაციების ბალანსზე არსებული რესურსით, ასევე დაგეგმილი აქვს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის შეძენა. განაცხადიდან ირკვევა, რომ კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან შპს „ოტო მოტორს ჰოლდინგი“, შპს “ენეო სერვისი”, შპს „ჯი თი მოტორსი“, შპს „ავტოსერვისი დიდი დიღომი“, შპს „R მოტორსი“, შპს „კენტავრი“, რაც მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია ორპორტიანი ამწის არსებობა კოლეჯის საკუთრებაში ან პარტნიორი ორგანიზაციის ბალანსზე, ავტოსერვის ცენტრებთან გაფორმებული მემორანდუმების არსებობის მიუხედავად, კოლეჯს არ აქვს გატანილი პრაქტიკის ობიექტზე სრულად სწავლის შედეგები, კოლეჯის საკუთრებაშია გერმანული ფირმის ,,lucas nuelle” სიმულაციური სასწავლო აღჭურვილობა, რომელიც ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების მუშაობის იმიტაციის და გაუმართაობების ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობას იძლევა, შედეგად კონცენტრაციის მოდულების შედეგების 80 % - ის განხორციელება ამ ეტაპზე საკუთარი რესურსებითაა შესაძლებელი, ხოლო დარჩენილი შედეგებისათვის აუცილებელია ორპორტიანი ამწე. სასწავლო გეგმის მიხედვით კონცენტრაციის მოდულების დაწყების სავარაუდო დროა 8 კვირა, სწორედ ამ დროისათვის უნდა ჰქონდეს შეძენილი კოლეჯს მოცემული ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო სახელოსნოს მშენებლობა, რაც განპირობებულია ტენდერის NAT200008084 საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან ამხანაგობა ,,მოდერნ ბილდინგ გრუპს“ და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ შორის 2020 წლის 15 ივლისს გაფორმებული №320702/02/03/90 ხელშეკრულებით, რომელიც მოქმედია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადაა 75 კალენდარული დღე. კონკრეტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მატერიალური რესურსის შესაძენად ატვირთული ინვოისების და თანხის მოთხოვნის საფუძველზე, 2020 წლის 21 ივლისს მიღწეულია შეთანხმება №01/162-71-7, რაც გულისხმობს სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ და სსიპ ,,კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ შორის 2015 წლის 14 აგვისტოს გაფორმებულ №01/162-71 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ სსიპ ,,კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ მიეცა უფლება №01/162-71 ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების 100349,45 ლარი ფარგლებში მიღებული ეკონომიიდან 62340 ლარი მიმართოს მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის შესაძენად. აღჭურვილობისა და სხვა მატერიალური რესურსის შეძენის ვადები განსაზღვრულია სსიპ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში 2020 წლის 03 ივლისს გამართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესაბამისობასთან დადგენის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №4 - ის დანართი №1 - ის საფუძველზე და შეადგენს 6 თვეს, კერძოდ ვადებში ივლისიდან - დეკემბრის ჩათვლით. ვიზიტის პერიოდში კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია საჭიროების მიხედვით გარკვეული რეზერვის შესაქმნელად დამატებით მოიძიოს პრაქტიკის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციები.

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი აქედან 9 ზოგადი მოდულებისთვის, ხოლო 14 პროფესიული მოდულებისთვის. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების არსებობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან. პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ჰყავს 12 განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას და შესაძლებელს ხდის პროფესიული მასწავლებლმა ისარგებლოს კანონით მინიჭებული უფლებებით, როგორიცაა ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულება, საავადმყოფო ფურცლის გამოყენება და სხვა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი ღონისძიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის და ყველა პედაგოგის პირადი საქმის შესწავლა. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაცია: დიპლომები და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების უმეტესობას გავლილი აქვთ ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი", რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები, აღნიშნული ტრენინგ-კურსის თემატიკის ერ-ერთი კომპონენტია მოდულური სწავლების თავისებურებები.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება პირადი საქმის მასალებით, პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია კოლეჯში განსაზღვრულია დირექტორის 29.06.2020 წლის №84 ბრძანების მიხედვით, სადაც მოცემულია მისი მოვალეობები. <u>კოლეჯი პროგრამის ხელმძღვანელს შეარჩევს სსიპ - კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში" პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის წესის მიხედვით სადაც მითითებულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად პირი ინიშნება 1 (ერთი) წლის ვადით, როტაციის პრინციპის გათვალისწინებით. მსგავსი მიდგომა პროგრამის განხორციელების მდგრადობის გათვალისწინებით არაა რელევანტური, ექსპერტების მიერ კოლეჯს</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელის ვადა განისაზღვროს მინიმუმ პროგრამის ავტორიზაციის ვადით ან უვადოდ, შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური ან ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი სარგებლობს მის მიერ გამოცემული სასწავლო ლიტერატურით, რომლის ანალოგი ქართულ ენაზე არ არსებობს, რაც უდავოდ კოლეჯის დიდი წარმატებაა, კერძოდ, თეიმურაზ გელაშვილი; დავით ძოწენიძე; ნოდარ ხარაზიშვილი; ზურაბ ბოგველიშვილი - ელექტროობის საფუძვლები და ავტომობილების ელექტრომოწყობილობა - 2016 წ. ზურაბ ბოგველიშვილი; თეიმურაზ გელაშვილი; ელიზბარ დარჩიაშვილი; ივანე ჩუტკერაშვილი - საავტომობილო ძრავას კომპიუტერული მართვის პრინციპები - 2017 წ. თეიმურაზ გელაშვილი; დავით ძოწენიძე; ნოდარ ხარაზიშვილი; ვ.ჯაჯანიძე -ავტმობილის ტექნიკური სისტემის კომპიუტერული მართვა და დიაგნოსტიკა - 2017 წ..

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებისას ადგილზე აღმოჩნდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, გარდა ამისა კონცენტრაციის მოდულების განსახორციელებლად ელექტრონული სახითაა მოცემული ევროპული, აზიური და ამერიკული ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები ინგლისურ და რუსულ ენებზე.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სსსმ პირებს შეუფერხებელი წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, სსსმ პირებისათვის საჭიროებიდან გამომდინარე, პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული განთლების მასწავლებლის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტის, ასევე სურვილის შემთხვევაში სსსმ პირის ჩართულობით ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც ისინი შეუფერხებლად გამიყენებენ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს. იმის გათვალისწინებით, რომ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროგრამა ჯერ არ არის მოქმედი, ცხადია, სსსმ პირები არ ირიცხებიან, თუმცა კოლეჯში არსებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავების პრაქტიკა არსებობს.

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან, პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ შევსებული ბიუჯეტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით,ცვლილება: N25, 18.02.2020 წ.);
- „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კონტიგენტის განსაზღვრის დოკუმენტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- კოლეჯის წესდებით (დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N 121/ნ ბრძანებით,ცვლილება: 2020 წლის 14 იანვარი, ბრძანება N06/ნ;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაციით;
- სტანდარტთან შესბამისობის გეგმით;
- სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პრორამის ხელმძღვანელის შერჩევის წესით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 02.05.18, N 30 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 29.07.2020, N 109);
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
- ბრძანებით პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ (რეკვიზიტები: N84, 29.06.2020 წ.)
- ბიბლიოთეკის წიგანდი და ელექტრონული ფონდი;
- სასწავლო გეგმის შემუშავების წესით (დამტკიცებულია: სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით N58, 26.06.2018წ., ცვლილება: N70, 29.05.2020 წ.);
- დაწესებულების ხელმძღვანელებთა, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად შემუშავებული აქვს განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმები, მათ შორის პროგრამების განვითარების უზრუნველსაყოფად შემუშავებულია სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ხარისხის მართვის 2019–2022 წლების სამოქმედო გეგმა (დირექტორის ბრძანება N45, 23.04.2020 წ.), რომელიც ეფუძნება კოლეჯის მისიას, SWOT ანალიზსა და კოლეჯის შვიდწლიან (2018–2025წწ..) სტრატეგიულ გეგმას. გეგმის თანახმად კოლეჯს გამოყოფილი აქვს პრიორიტეტები, რომელთა შორის არის -„პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხარისხის უზრუნველყოფა“. სამოქმედო გეგმაში გაწერილია ამ მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანები, აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები, შესრულების პერიოდი, მტკიცებულებები, მოსალოდნელი შედეგები და გასათვალისწინებელი რისკები, რომლის ერთერთი ამოცანაა - ხარისხის გარე მექანიზმების პარალელურად ხარისხის შიდა მექანიზმების გაძლიერება და ეფექტიანი შიდა მონიტორინგის (შეფასების ციკლური სისტემის) ამოქმედება, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მუდმივ შეფასებას და ანალიზს.

დაწესებულება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების ფარგლებში ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას სპეციალური კითხვარების მეშვეობით. შესაბამისად დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირის (პროფესიული განათლების მასწავლებელის), კითხვარების ფორმები, რომლებიც წლების განმავლობაში იცვლებოდა და დირექტორის ბრძანებით შედიოდა მათში ცვლილებები. ყველა კითხვარში რიგი კითხვებისა ეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას. დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დამსაქმებლები) მხრიდან უკუკავშირი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სწორედ მათ მიერ შევსებული კითხვარების მეშვეობით, რის შემდეგაც მოხდება მათი ანალიზი და შემდგომი რეაგირება.

პროგრამის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯში შემუშავებულია რიგი მარეგულირებელი დოკუმენტებისა სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით, შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურები და მექანიზმები. დოკუმენტში დეტალურადაა ასახული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურა და წესი, მოდულის შემუშავების წესი მოდულური პროგრამების დამტკიცების წესი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მუშაობს საერთო PDCA პრინციპით: ხარისხის მართვის 2019–2022 წლების სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი ყველა კომპონენტი: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, რეაგირება.
პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, რისთვისაც შემუშავებულია ზემოხსენებული კითხვარი დამსაქმებლისთვის.

2.3.1.2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით, შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

როგორც დოკუმენტიდან ჩანს და რაც დაგვიდასტურეს კოლეჯის წარმომადგენლებმა, პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

პროფესიულ სტანდარტსა და მოდულში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

რამდენადაც დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული პროგრამაში ან ცალკეულ მოდულში ცვლილებებთან დაკავშირებული ინიცირების შემთხვევაში რა პროცედურას გადის, ვინ განიხილავს ცვლილებების აუცილებლობას, ვინ აანალიზებს ცვლილების მიზანშეწონილობას, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროცედურის აღწერასთან დაკავშირებით. კოლეჯმა რეკომენდაცია ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა და შექმნა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ინიცირების პროცედურები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარების ფორმებით;
- „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით . (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, რეკვიზიტები: 03.07.20, N89, ცვლილება: 03.08.2020 წ., N116);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით, ცვლილება: N101, 15.07.2020 წ.);
- ინტერვიუების შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

„მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემუშავებულია სასწავლო გეგმა. გეგმის თანახმად პროგრამის ხანგრძლივობაა - 14 სასწავლო თვე (55 სასწავლო კვირა), ქართული ენის მოდულების დამატების საჭიროების შემთხვევაში - 16,5 სასწავლო თვე (65 კვირა)). სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულების გადაბარებასთან დაკავშირებით. სასწავლო ცხრილები შეიქმნება პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, სასწავლო პროცესის ორგანიზება განხორციელდება პროფესიული სტუდენტის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. სასწავლო ცხრილების შედგენა სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობაა, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელსა და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით ხორციელდება. დაწესებულებაში შემუშავებულია წესი, რომლის თანახმად სასწავლო ცხრილები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას ყველა პროფესიული სტუდენტისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

„მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარი ითვალისწინებს სწავლების მეთოდებთან დაკავშირებულ საკითხებს, რის შემდგომაც განხორციელდება კითხვარების შედეგების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში - რეაგირება. „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესული საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ პარტნიორ კომპანიებს გააჩნია შესაბამისი ტექნოლოგიები და სათანადო რესურსი პროგრამის კომპონენტების განსახორციელებლად. როგორც ექსპერტების მიერ გადამოწმებული დამადასტურებელი დოკუმენტაციით (ცნობები, სერტიფიკატები და ტრენინგებზე დასწრების ფურცლები) დგინდება, დაწესებულება ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების განვითარებაზე, რაც ასევე ამ კონკრეტული პროგრამის პროფესიულ მასწავლებლებთანაც განხორციელდება.

2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის N 58 ბრძანებით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელშიც ცვლილებაა შეტანილი 2020 წლის 29 მაისის N 70 ბრძანებით. წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების შემთხვევები: სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებისგან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის გზით.

ვიზიტის პერიოდში გავეცანით კოლეჯის მიერ შექმნილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ სტუდენტებისათვის, რომლებიც წესების სრული დაცვით არის შესრულებული.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

„მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებლი აქვს სათანადო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ კომპანიებთან, მემორანდუმებში აღწერილია თანამშრომლობის დეტალები.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

- შპს „ოტო მოტორს ჰოლდინგი“(მემორანდუმი № 475),
- შპს “ენეო სერვისი” (მემორანდუმი N 477)
- შპს „ჯი თი მოტორსი“ (მემორანდუმი N478)
- შპს „ავტოსერვისი დიდი დიღომი“ (მემორანდუმი N 479),
- შპს „R მოტორსი“(მემორანდუმი N 481)
- შპს „კენტავრი“ (მემორანდუმი N482)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯიში შემუშავებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი და სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები. შემუშავებულია ასევე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. ორივე დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია ვებგვერდზე. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ კოლეჯის რამდენიმე თანამშრომელს ჩაუტარდა საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო-თეორიული ტრენინგი.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი კომპანიების მხრიდან პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. კომპანიებთან გაფორმებულ მემორანდუმშები გათვალისწინებულია პუნქტი უსაფრთხოების ნორმების დაცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით.

კოლეჯის შენობაში არის ნათელი, ფართო ოთახები ვენტილაციის სისტემით და გათბობის სისტემით. პროგრამის შენობის უკანა შესასვლელში მოწყობილია გრძელი პანდუსი. „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროგრამის განსახორციელებლად განკუთვნილი ოთახები პირველ სართულზეა განთავსებული და სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით, ცვლილება: N101, 15.07.2020 წ.);
- ფაქტობრივი მდგომარეობით, ვიზუალური დათვალიერების შედეგებით;
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარების ფორმებით (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 06 დეკემბრის N109 ბრძანებით, 2019 წლის 16 დეკემბრის N113 ბრძანებით);
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 26.06.2018 წლის N58.ბრძანებით დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით, ცვლილება: N70, 29.05.2020 წ.);
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
- სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით, ცვლილება: N108, 20.07.2020 წ.). წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და შიდა მონიტორინგი, მტკიცებულებების შეგროვება და შენახვა, შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების გაცნობა პროფესიული სტუდენტისათვის, განმეორებით შეფასების წესები და შეფასების გასაჩივრების რეგულაციები.

დოკუმენტის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობასა და სამართლიანობას. კოლეჯში დირექტორის ბრძანებით (N27, 18.02.2020) შექმნილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით მუდმივმოქმედი კომისია, რომლის მოვალეობაა გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობს შეფასება.

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ შემუშავებულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის მუხლი 11-ით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შიდა ვერიფიკაციის და ვალიდაციის მექანიზმი. წესის თანახმად ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შიდა ვერიფიკაციის განხორციელებისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები. ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვალიდაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.
პანდემიის გათვალისწინებით ვერიფიკაციის პროცესი ამ ეტაპამდე კოლეჯში არ განხორციელებულა, თუმცა კოლეჯი გამოთქვამს მზადყოფნას და გეგმავს ვერიფიკაციის 2020 წლის ნოემბრიდან დაწყებას.

2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად.
შეფასების წესით გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმითა და უწყისით, პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაცის/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასაცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს სათანადო აღრიცხვის მიზნით.

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 6 ივლისის ბრძანებით შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად პროფესიული სტუდენტის მიერ შედეგების დადასტურება/არდადასტურების მაჩვენებლების საფუძველზე პროგრამის განხორციელების პროცესში გატარდება სათანადო ღონისძიებების გატარებას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითრების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების მეთოდოლოგია დაწესებულებაში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. სისტემატურად ხდება შედეგის დადასტურების პროცესზე კოლეჯის ადმინისტრაციის წევრების დასწრება პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით მუდმივმოქმედი კომისიის ფარგლებში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების მეთოდოლოგია, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ შედეგების დადასტურება/არდადასტურების მაჩვენებლების საფუძველზე სათანადო ღონისძიებების გატარებას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითრების მიზნით.

ქვეყანაში ახალი კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვა კოლეჯში განხორციელდება 2020 წლის ნოემბრიდან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესით (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით, ცვლილება: N108, 20.07.2020 წ.)
- დირექტორის ბრძანებით(18.02.20, N27 პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების მეთოდოლოგიით (დამტკიცებულია დირექტორის2020 წლის 06 ივლისის N95 ბრძანებით)

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

04.09.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: